პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ იანვარი 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების დაფინანსებისა და ანგარიშგების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების დაფინანსებისა და ანგარიშგების პირობების შესახებ დებულება“ (დანართი 1);

ბ) პროგრამული და ფინანსური ანგარიში (დანართი 2; დანართი 3);

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების დაფინანსებისა და ანგარიშგების პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების დაფინანსება - ანგარიშგების პირობებს, მხარეთა უფლებამოსილებებს.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების / იურიდიული პირების (შემდგომში - ბენეფიციარი) დაფინანსება და საბოლოო ანგარიშგება უნდა განხორციელდეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) პროგრამების მართვის განყოფილება (შემდგომში - განყოფილება).

მუხლი 2. ხელშეკრულების დადება

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის #35 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და ქვეპროგრამებით „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ გათვალისწინებული პროექტების (შემდეგში - პროექტები) განსახორციელებლად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების ტიპიურ პროექტს, სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ამზადებს მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

3. ბენეფიციარი, ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდეს - შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. ბენეფიციარი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს (მოთხოვნისამებრ) ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო ყველა დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, საბანკო რეკვიზიტები, წარმომამდგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).

5. ხელშეკრულება არ დაიდება იმ ბენეფიციართან, რომელსაც წინასწარ - კონკრეტული ვადაში აქვს დათქმული, რაიმე დოკუმენტის წარმოდგენა (რომელიც იმ პერიოდისათვის არ გააჩნდა მაგრამ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების გაფორმებამდე) და არ წარმოუდგენია.

6. ხელშეკრულების დადების ეტაპზე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, შესაძლებელია დაზუსტდეს.

7. ხელშეკრულების დანართი (ხარჯთაღრიცხვა) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. მხარეთა მიერ შესაძელებელია განისაზღვროს ავანსის გაცემის (არაუმეტეს 30% - სა) წესი და პირობები. ამასთან, ავანსი გაიცემა საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო

დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. თუ ბენეფიციარს ფორს-მაჟორის თუ ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით (განცხადების საფუძველზე) ან/და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ვადამდე შეუწყდება ან არ გაუფორმდება ხელშეკრულება და გამონთავისუფლდება თანხა, მაშინ დასაშვებია, სამსახურის წარდგინებით, მერის ბრძანებით, ამავე ან ნაკლები ასიგნებების ფარგლებში, ხელშეკრულება გაფორმდეს შესარჩევ კონკურსში მონაწილე და რიგით მომდევნო (დაგროვილი ქულების მიხედვით) ბენეფიციართან (ებთან), წერილობითი მომართვის საფუძველზე და იმავე ან დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით, ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების წესი განისაზღვრება, მხარეთა შეათანხმებით.

11. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან/და ფორსმაჟორულ შემთხვევებში, გაფორმებულ ხელშეკრულებაში ღონისძიების გამართვის ადგილის ან ვადების შეცვლა, თანხის შეცვლა - დაზუსტება ან სხვა არსებითი პირობების ცვლილება, განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ანგარიშგების პირობები

1. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოდან მონიტორინგს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას, სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფი:

   2.1 წევრთა რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;

   2.2 მუშაობას წარმართავს ჯგუფის ხელმძღვანელი;

   2.3 15 სამუშაო დღის ვადაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს;

   2.4 უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში (მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელების მიზნით), მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ან ექსპერტი ან/და კონსულტირების მიზნით, მიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს (კომპეტენციის ფარგლებში);

   2.5 უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარუდგინოს მერს რეკომენდაცია (მოხსენებითი ბარათის საფუძველზე), ბენეფიციარის დაფინანსების შეჩერება - შეწყვეტის შესახებ, პროექტით გათვალისწინებული მიზნების შეუსრულებლობის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. ბენეფიციარი ვალდებულია:

   3.1 სამუშაო ჯგუფს წარუდგინოს მის მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი სრული დოკუმენტაცია. საბოლოო ანგარიშსწორებისას ერთეულის ფასები კორექტირებული იქნება და გადაანგარიშდება ფაქტიური ხარჯების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა;

   3.2 ქ. ბათუმის მუნიციაპლიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, **15 სამუშაო** დღის ვადაში, წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ, საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიში (დანართი 2), ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად (მათ შორის: ზედნადები; ანგარიშფაქტურა; საგადახდო

დავალება; ინვოისი; ხელშეკრულება კონტრაქტორებთან, მიღება-ჩაბარების აქტი; უწყისი; სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი და სხვა).

3.3 დაფინანსებისათვის მოთხოვნილი თანხა წარმოადგინოს მხოლოდ (ეროვნულ ვალუტაში) ლარში და შესაბამისად, თანხა გადაერიცხებათ მხოლოდ (ეროვნულ ვალუტაში) ლარში.. ამასთან, თუ ღონისძიების განხორციელების ეტაპზე მომსახურება/საქონლის შესყიდვა განხორციელდა უცხოურ ვალუტაში, თანხის ანაზღაურება მოხდება უცხოური ვალუტის ექვივალენტ ლარში, შესყიდვის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის შესაბამისად.

4. პროექტი დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი, საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით, წარმოადგენს პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია დააბრუნოს მერიისგან მიღებული თანხები (არსებობის შემთხვევაში).

5. მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი დოკუმენტაცია საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით, გადაეგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ბენეფიციარის მიერ დადგენილ ვადებში არწარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამსახურის გაფრთხილების მიუხედავად მიღებული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება შესაბამის პირებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

განმცხადებელი:

მისამართი:
(რეგისტრაციის ან/და ფაქტიური)

საკონტაქტო:
(ტელეფონი / ელფოსტა / facebook)

პროგრამული და ფინანსური ანგარიში

ბატონო ლაშა,

წარმოგიდგენთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული **პროექტის** „ “ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს (ფორმა 1; 2 თან ერთვის), ხარჯვისა და ვალდებულების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

გთხოვთ, მიმდინარე წლის ---- ——— გაფორმებული № ხელშეკრულების შესაბამისად, განახორციელოთ ფინანსური ანგარიშსწორება.

პატივისცემით,

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

პროგრამული ანგარიში

1. **პროექტის სახელწოდება:**

2. **დაწყების თარიღი:**

3. **დასრულების თარიღი:**

4. **პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა** (დღე):

5. **პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები** (ჩამონათვალი დაურთეთ დანართის სახით):

6. **პროექტში მონაწილე სუბიექტთა რაოდენობა. მათ შორის:**

   6.1 **მონაწილე ქვეყანა / დელეგაცია** (არსებობის შემთხვევაში - ფაქტიური რაოდენობა):

   6.2 **გუნდი / წყვილი** (არსებობის შემთხვევაში - ფაქტიური რაოდენობა):

   6.3 **მონაწილე უცხოელი სპორტსმენი** (ფაქტიური რაოდენობა):

   6.4 **მონაწილე ადგილობრივი სპორტსმენი** (ფაქტიური რაოდენობა):

7. **პროექტის პარტნიორები / მხარდამჭერები (არსებობის შემთხვევაში** - პარტნიორი / მხარდამჭერი - ოფიციალური, ტექნიკური, ინსტიტუციონალური, კორპორატიული თუ სხვა სტატუსით). **მათ შორის:**
   7.1 პარტნიორი ქვეყნის გარეთ (ფაქტიური რაოდენობა):
   7.2 პარტნიორი ქვეყნის შიგნით (ფაქტიური რაოდენობა):

8. **მოხალისეები (არსებობის შემთხვევაში** - ფაქტიური რაოდენობა):

9. PR **კომუნიკაცია, შემეცნებითი და საინფორმაციო აქტივობები. მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):**

   9.1 **შემეცნებითი კონფერენციები / მასტერ კლასები** (ჩატარებული აქტივობების ჩამონათვალი):

   9.2 **შემეცნებითი სპორტულ - კულტურული ღონისძიებები** (ჩატარებული აქტივობების ჩამონათვალი):

   9.3 **ბეჭდური პუბლიკაციები** (გამოცემული პროდუქციის მიხედვით / რაოდენობა):

   9.4 **გამოკითხვა / კვლევები / სტატისტიკა** (ღონისძიების შეფასების მიზნით გამოკითხულ მონაწილეთა / რესპოდენტთა რაოდენობა - შევსებული ანკეტების მიხედვით):

10. **მასმედიის ჩართულობა. მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):**

    10.1 **TV ტრანსლიაცია / გადაცემა / სიუჟეტი** ... (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    10.2 **საგაზეთო სტატია** (წარმოადგინეთ ბმული ან მასალა):

    10.3 **საკუთარი სოციალური ქსელით (ვებგვერდი, facebook, Twitter ან სხვა) განხორციელებული პერმანენტული (განუწყვეტელი, მუდმივი) აქტივობა** (გამოქვეყნებული / ატვირთული შეტყობინები (ე.წ. „დაპოსტვა") - ფაქტიური რაოდენობა):

11. PR - **საზოგადოებასთან კომუნიკაცია. მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):**

    11.1 **პრესკონფერენციის მოწვევა / ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    11.2 **გახსნის ცერემონიის ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    11.3 **დახურვის ცერემონიის ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    11.4 **„ლაივის" ფორმატში ტრანსლიაციის ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

12. **კონკრეტულად, რა შედეგებს მიაღწიეთ პროექტის განხორციელებით** (დაასახელეთ / ჩამოთვალეთ):

13. **პრეზენტაცია** (თან დაურთეთ / რომელშიც ასახული იქნება):

- **განხორციელებული აქტივობების აუდიო/ვიზუალური მასალა ან/და ბმულები** (მოკლე ანოტაციებით,).
- **გამოქვეყნებული საგაზეთო სტატია** (არსებობის შემთხვევაში)
- **TV ტრანსლიაცია / გადაცემა / სიუჟეტი** (არსებობის შემთხვევაში):

შენიშვნა: პრეზენტაციაში / წარმოდგენილ ანგარიშში შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აისახოს ინფორმაცია ჩატარებული აქტივობების შესახებ (დამადასტურებელი ფოტოსურათები, ბმულები, TV / სოც. ქსელი / ვებ-გვერდი /Facebook/Twitter / სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული მასალები). ასევე, თუ იყო ნახსენები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც აღნიშნული ღონისძიების მხარდამჭერი (ამ შემთხვევაში, მიეთითოს, სად და როგორ იყო ნახსენები - ბანერი, სატელევიზიო ინტერვიუ...) და სხვა.

14. თქვენი მოსაზრებები /კომენტარები / სურვილები / შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით (არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, მოკლედ და ლაკონურად გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები, შეფასებები, კომენტარები, სურვილები თუ შენიშვნები (Sylfaen):

ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია წარმოვადგინო სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

ფორმა 2

ფინანსური ანგარიში

1. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: ლარი.
2. საკუთარი თანხა: ლარი.
3. სხვა წყარო: ლარი.
4. მერიიდან მიღებული დაფინანსება: ლარი.
5. მიღებული შემოსავალი (არსებობის შემთხვევაში): ლარი.
6. ფაქტობრივად გახარჯული თანხის ოდენობა: ლარი.

№	დასახელება (სამუშაოების მომსახურების საქონლის	საბალო ღირებულება	რაოდენობა	თანხა	ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მათ შორის: ზედნადები, ანგარიშფაქტურა, საგადახდო დავალება, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი და სხვა). მიუთითეთ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, თარიღი ან სხვა მნიშვნელოვანი და საჭირო მონაცემი.
	1.	**2.**	**3.**	**4.**	**5.**
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					

თანდართული დოკუმენტაცია: ფურცელი.

მე, ზემოაღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი (სახელი და გვარი), პირადი ნომერი № (ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (სახელი და გვარი) პირადი ნომერი №) მოქმედი კანომდებლობის წინაშე, პასუხისმგებელი ვარ პროგრამული და ფინანსური ანგარიშში (დანართი 3) მითითებული თანდართული ფორმით წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის ასლების უტყუარობასა და სისწორეზე, რითაც დასტურდება პროექტის ბიუჯეტით გათვალისიწინებული თანხების მიზნობრივი ხარჯი. ვამოწმებ, რომ აღნიშნული დოკუმენტების ორიგინალები ინახება ჩვენს ორგანიზაციაში, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია წარმოვადგინო სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა

თარიღი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

განმცხადებელი:

მისამართი:
(რეგისტრაციის ან/და ფაქტიური)

საკონტაქტო:
(ტელეფონი / ელფოსტა / facebook)

პროგრამული და ფინანსური ანგარიში

ბატონო ლაშა,

წარმოგიდგენთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული **პროექტის** „ “ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს (ფორმა 1; 2 თან ერთვის), ხარჯვისა და ვალდებულების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

გთხოვთ, მიმდინარე წლის ---- ——— გაფორმებული № ხელშეკრულების შესაბამისად, განახორციელოთ ფინანსური ანგარიშსწორება.

პატივისცემით,

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

პროგრამული ანგარიში

1. **პროექტის სახელწოდება:**

2. **დაწყების თარიღი:**

3. **დასრულების თარიღი:**

4. **პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა** (დღე):

5. **პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები** (ჩამონათვალი დაურთეთ დანართის სახით):

6. **პროექტში მონაწილე სუბიექტთა რაოდენობა. მათ შორის:**

   6.1 **მონაწილე ქვეყანა / დელეგაცია** (არსებობის შემთხვევაში - ფაქტიური რაოდენობა):

   6.2 **გუნდი / წყვილი** (არსებობის შემთხვევაში - ფაქტიური რაოდენობა):

   6.3 **მონაწილე უცხოელი** (ფაქტიური რაოდენობა):

   6.4 **მონაწილე ადგილობრივი** (ფაქტიური რაოდენობა):

7. **პროექტის პარტნიორები / მხარდამჭერები (არსებობის შემთხვევაში** - პარტნიორი / მხარდამჭერი - ოფიციალური, ტექნიკური, ინსტიტუციონალური, კორპორატიული თუ სხვა სტატუსით). **მათ შორის:**
   7.1 პარტნიორი ქვეყნის გარეთ (ფაქტიური რაოდენობა):
   7.2 პარტნიორი ქვეყნის შიგნით (ფაქტიური რაოდენობა):

8. **მოხალისეები (არსებობის შემთხვევაში** - ფაქტიური რაოდენობა):

9. PR **კომუნიკაცია, შემეცნებითი და საინფორმაციო აქტივობები. მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):**

   9.1 **შემეცნებითი კონფერენციები / მასტერ კლასები** (ჩატარებული აქტივობების ჩამონათვალი):

   9.2 **შემეცნებითი სპორტულ - კულტურული ღონისძიებები** (ჩატარებული აქტივობების ჩამონათვალი):

   9.3 **ბეჭდური პუბლიკაციები** (გამოცემული პროდუქციის მიხედვით / რაოდენობა):

   9.4 **გამოკითხვა / კვლევები / სტატისტიკა** (ღონისძიების შეფასების მიზნით გამოკითხულ მონაწილეთა / რესპოდენტთა რაოდენობა - შევსებული ანკეტების მიხედვით):

10. **მასმედიის ჩართულობა. მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):**

    10.1 **TV ტრანსლიაცია / გადაცემა / სიუჟეტი ...** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    10.2 **საგაზეთო სტატია** (წარმოადგინეთ ბმული ან მასალა):

    10.3 **საკუთარი სოციალური ქსელით (ვებგვერდი, facebook, Twitter ან სხვა) განხორციელებული პერმანენტული (განუწყვეტელი, მუდმივი) აქტივობა** (გამოქვეყნებული / ატვირთული შეტყობინები (ე.წ. „დაპოსტვა") - ფაქტიური რაოდენობა):

11. PR - **საზოგადოებასთან კომუნიკაცია. მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):**

    11.1 **პრესკონფერენციის მოწვევა / ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    11.2 **გახსნის ცერემონიის ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    11.3 **დახურვის ცერემონიის ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

    11.4 **„ლაივის" ფორმატში ტრანსლიაციის ორგანიზება** (წარმოადგინეთ ბმული/პოსტი):

12. **კონკრეტულად, რა შედეგებს მიაღწიეთ პროექტის განხორციელებით** (დაასახელეთ / ჩამოთვალეთ):

13. **პრეზენტაცია** (თან დაურთეთ / რომელშიც ასახული იქნება):

- **განხორციელებული აქტივობების აუდიო/ვიზუალური მასალა ან/და ბმულები** (მოკლე ანოტაციებით,).
- **გამოქვეყნებული საგაზეთო სტატია** (არსებობის შემთხვევაში)
- **TV ტრანსლიაცია / გადაცემა / სიუჟეტი** (არსებობის შემთხვევაში):

შენიშვნა: პრეზენტაციაში / წარმოდგენილ ანგარიშში შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აისახოს ინფორმაცია ჩატარებული აქტივობების შესახებ (დამადასტურებელი ფოტოსურათები, ბმულები, TV / სოც. ქსელი / ვებ-გვერდი / Facebook / Twitter / სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული მასალები). ასევე, თუ იყო ნახსენები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც აღნიშნული ღონისძიების მხარდამჭერი (ამ შემთხვევაში, მიეთითოს, სად და როგორ იყო ნახსენები.-ბანერი, სატელევიზიო ინტერვიუ) და სხვა.

14. თქვენი მოსაზრებები /კომენტარები / სურვილები / შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით (არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, მოკლედ და ლაკონურად გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები, შეფასებები, კომენტარები, სურვილები თუ შენიშვნები (Sylfaen):

ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია წარმოვადგინო სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

ფინანსური ანგარიში

1. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: ლარი.
2. საკუთარი თანხა: ლარი.
3. სხვა წყარო: ლარი.
4. მერიიდან მიღებული დაფინანსება: ლარი.
5. მიღებული შემოსავალი (არსებობის შემთხვევაში): ლარი.
6. ფაქტობრივად გახარჯული თანხის ოდენობა: ლარი.

№	დასახელება (სამუშაოების მომსახურების საქონლის	საგალო ღირებულება	რაოდენობა	თანხა	ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მათ შორის: ზედნადები, ანგარიშფაქტურა, საგადახდო დავალება, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი და სხვა). მიუთითეთ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, თარიღი ან სხვა მნიშვნელოვანი და საჭირო მონაცემი.
	1.	**2.**	**3.**	**4.**	**5.**
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					

თანდართული დოკუმენტაცია: ფურცელი.

მე, ზემოაღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი (სახელი და გვარი), პირადი ნომერი № (ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (სახელი და გვარი) პირადი ნომერი №) მოქმედი კანომდებლობის წინაშე, პასუხისმგებელი ვარ პროგრამული და ფინანსური ანგარიშში (დანართი 3) მითითებული თანდართული ფორმით წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის ასლების უტყუარობასა და სისწორეზე, რითაც დასტურდება პროექტის ბიუჯეტით გათვალისიწინებული თანხების მიზნობრივი ხარჯი. ვამოწმებ, რომ აღნიშნული დოკუმენტების ორიგინალები ინახება ჩვენს ორგანიზაციაში, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია წარმოვადგინო სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების დაფინანსებისა და ანგარიშგების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის ,,საერთაშორისო ფესტივალის მხარაჭერის''/„საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა" ფარგლებში, ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის ღონისძიების განხორციელებესთან დაკავშირებით ხელშეკრულებების გაფორმებისა და ფესტივალების/სპორტული ტურნირების დაფინანსების წესი) მოწესრიგება.

კონკურსში გამარჯვებული სუბიექტების იურიდიული პირების (პროექტების ავტორების) მიერ წარმოდგენილი პროექტების განსახორციელებელი კულტურული და სპორტული ღონისძიებების/ფესტივალების დაფინანსებისა და ანგარიშსწორების პროცედურის და პირობების განსაზღვრა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

2020 წლის მუნიციპალური ბიუჯეტით ,,ქვეპროგრამა საერთაშორისო ფესტივალების'' (05 03 04) და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა" მხარდაჭერის (05 01 02) ფარგლებში განხორციელებული პროექტების დაფინანსება და ანგარიშგება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება;

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი;

ბ.ბ) პროექტის ავტორი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის

სამსახურის უფროსი **მერაბ ქიძინიძე**